თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2023 წლის 5 ივლისი
მორიგი სხდომის
ოქმი № 11

ქ. თერჯოლა

2 აგვისტო 2023 წელი

სხდომა გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში, მის. ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. № 7-ში.

სხდომას უძღვებოდა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დავით გოგბერაშვილი

სხდომას ესწრებოდნენ: 1. დავით გოგბერაშვილი, 2. ნინო ჩხიკვაძე, 3.ლაშა გურგენიძე, 4. იზა მაგრაქველიძე, 5. ბიძინა ბუცხრიკიძე, 6. კობა კაცაძე, 7. ნინო მახათაძე, 8. ომარი ჯიხვაშვილი, 9. ბადრი ბუცხრიკიძე, 10. ჯემალი ისაკაძე, 11. ელისო მურადაშვილი, 12. მანუჩარ ფანჩულიძე, 13. შალვა ჭანკვეტაძე, 14. გრიგოლ გიორგაძე, 15. გოჩა ვერულაშვილი, 16. კახა ბუცხრიკიძე, 17.რამინი რობაქიძე, 18. ფრიდონ გვენეტაძე, 19. დავით ცხადაძე, 20. ნატალია ასათიანი, 21. მერაბი ბასილაძე, 22. ტარიელ ფანჩულიძე, 23. როლანდი მესხი.

სხდომას არ ესწრებოდნენ: 1. გიორგი ბარათაშვილი, 2. თემურ ქოჩიაშვილი, 3. თამარ ახვლედიანი, 4. კობა კირკიტაძე, 5. რუსუდან კოვზირიძე, 6. ივანე ჩუბინიძე.

საკრებულოს სრული შემადგენლობა: 30 წევრი
საკრებულოს სიითი შემადგენლობა: 29 წევრი
დამსწრე საკრებულოს წევრთა რაოდენობა: 23 წევრი
კვორუმი: 16 წევრი

სხდომას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე.

სხდომა დაიწყო 12 ^{00} სთ-ზე.
სხდომა დამთავრდა - 12 ^{45}სთ-ზე.

საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია გააგრძელოს მუშაობა დღის წესრიგის შესაბამისად.

დღის წესრიგი:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის ორი კვარტლის შესახებ ინფორმაცია (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282319335, 12.07.2023 წ);

   მომხს.: ა. ურიადმყოფელი

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ (შპს ,,მზეკაბანი 2007" -სთვის მიქირავებული არასაცხოვრებელი ფართის ქირის თანხის რაოდენობა განისაზღვროს 1 m^2 7 (შვიდი) ლარის ოდენობით (თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის წერილი №28-282321261, 31.07.2023 წ.);

   მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩისათვის ვალერი გოგნაძის სახელის მინიჭების შესახებ;

   მომხს.: ბ.ბუცხრიკიძე

4. საკრებულოს გამოკლებული წევრის ამირან ვერულაშვილის ადგილმონაცვლის ეკა ბერძენიშვილისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ;

   მომხს.: ბ. ბუცხრიკიძე

5. ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის 2022 წლის 1 სექტემბრიდან 2023 წლის 1 ივლისამდე გაწეული მუშაობის ანგარიშის შესახებ (ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დირექტორის წერილი №14-282319919, 18.07.2023 წ.).

   მომხს.: გ. გიორგაძე

კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 23 , წინააღმდეგი - 0

დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1.

მოისმინეს: მომხსენებელმა, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ავთანდილ ურიადმყოფელმა საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის ორი კვარტლის შესახებ ინფორმაცია.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის ორი კვარტლის შესახებ ინფორმაცია (განკარგულება № გ-29.29232144, 02.08.2023 წ.)

2.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბადრი ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი - მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების ხელმისაწვდომობის და სრულფასოვანი განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით მერიას მიაჩნია სკოლა ,,მზეკაბანი -2007"-სათვის 1მ² ფართის ქირის თანხს ოდენობა განისაზღვროს 7 ლარით.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ.

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -23 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29232144, 02.08.2023 წ.)

3.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულს წევრებს გააცნო თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩისათვის ვალერი გოგნაძის სახელის მინიჭების შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

კენჭისყრის შედეგები: მომხრე -23 , წინააღმდეგი - 0

გადაწყვიტეს: დამტკიცდეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის პირველი ქუჩისათვის ვალერი გოგნაძის სახელის მინიჭების შესახებ განკარგულების პროექტი (განკარგულება № გ-29.29232142, 02.08.2023 წ.)

4.

მოისმინეს: მომხსენებელმა, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბიძინა ბუცხრიკიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს გამოკლებული წევრის ამირან ვერულაშვილის ადგილმონაცვლის ეკა ბერძენიშვილისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ განკარგულების პროექტი .

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

გადაწყვიტეს: ცნობად იქნას მიღებული საკრებულოს გამოკლებული წევრის ამირან ვერულაშვილის ადგილომონაცვლის ეკა ბერძენიშვილისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ განკარგულების პროექტი(განკარგულება № გ-29.29232143, 02.08.2023 წ.).

5.

მოისმინეს: მომხსენებელმა, ა(ა)იპ თერჯოლის სპორტული სკოლა და სპორტულ გამაჯანსაღებელი მუნიციპალური ცენტრის დირექტორმა ირაკლი ჩხეიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ცენტრის 2022 წლის 1 სექტემბრიდან 2023 წლის 1 ივლისამდე გაწეული მუშაობის ანგარიში.

აზრი გამოთქვეს: საკრებულოს წევრებს აზრი არ გამოუთქვამთ .

გადაწყვიტეს: დადებითად შეფასდეს ცენტრის 2022 წლის 1 სექტემბრიდან 2023 წლის 1 ივლისამდე გაწეული მუშაობა.

სხდომის თავმჯდომარემ, დავით გოგბერაშვილმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 2 აგვისტოს საკრებულოს მორიგი სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე
დავით გოგბერაშვილი